საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/10

06 თებერვალი 2019 წ

ქ. ბათუმი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №30 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №2 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2019 წლის 28 იანვრის MES 1 19 00082345 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (დანართი 1) და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული კატალოგის განახლებაზე კონტროლი განახორციელოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერმა - მამუკა გოგელიამ.
3. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ. ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 06 თებერვლის N 01-02/10

ბრძანების დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

2019

პროფესიული განათლება საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად განიხილება. პროფესიული განათლება ერთი მხრივ, უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კვალიფიციური კადრებით, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს ახალგაზრდების დასაქმებას და კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მნიშვნელოვან რეფორმას ახორციელებს პროფესიული განათლების განვითარებისთვის, რაც აისახება ,,პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (2013-2020 წლები)". აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია პროფესიული განათლების გამოწვევები და მათი დაძლევის ღონისძიებები.

აღნიშნული სტრატეგიების განხორციელებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია საგანმანათლებლო დაწესებულებებს ენიჭებათ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აცნობიერებს საკუთარ როლს ამ კონტექსტში, ამიტომაც საკუთარი მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის გათვალისწინებით, შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტრატეგიული განვითარების ახალი გეგმა 2019-2024.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აერთიანებს 7 ფაკულტეტს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ტექნოლოგიურ და ტურიზმის ფაკულტეტებს. დღეისათვის, უნივერსიტეტში უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 6000-მდე სტუდენტი სწავლობს.

ეტაპობრივად ფართოვდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იზრდება სტუდენტთა რაოდენობა, მრავალფეროვანი ხდება საგანმანათლებლო პროგრამები. უნივერსიტეტი ინარჩუნებს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დარგებს და ამავე დროს, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ნერგავს და ავითარებს ახალ მიმართულებებს. ინტენსიურად გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, მათ შორის, ელექტრონული სწავლებაც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მოქნილი და ეფექტიანი სისტემის შექმნის მიზნით 2018 წლის 5 ოქტომბერს ბსუ-ში წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი". ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით: ა) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვა; ბ) უწყვეტი განათლება.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი 2019-2020 სასწავლო წლიდან ახალ სასწავლო კორპუსში განაგრძობს მუშაობას. ცენტრი აღჭურვილი იქნება თანამედროვე სასწავლო აუდიტორიებითა და ლაბორატორიებით, ასევე იქნება ადაპტირებული შშმ და სსსმ პირებისათვის.

2011 წლიდან ბსუ ახორციელებს პროფესიულ საგნობრივ პროგრამებს, ხოლო 2015 წლიდან ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ მოდულურ პროგრამებს. ამჟამად უნივერსიტეტში 12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 400-მდე სტუდენტი სხვადასხვა პროფესიას ეუფლება. აღნიშნული პროგრამების განხორციელების პროცესში პროფესიული განათლების 93 მასწავლებელია ჩართული.

ბსუ 2019 წლიდან გეგმავს არსებული პროგრამების განახლებასა და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. კერძოდ, 2019 წლიდან დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ დაეუფლონ ისეთ სხვადასხვა სპეციალობას, როგორიცაა: ბაგა-ბაღის აღმზრდელი, მებაღე, ბაღის დიზაინერი, ელექტროობის სპეციალისტი, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის სპეციალისტი, კბილის სატექნიკო საქმის სპეციალისტი, მეფუტკრე, პრაქტიკოსი ექთანი, ფარმაცევტის თანაშემწე, ბიომემცენარე, მევენახე და ა. შ. ასევე იგეგმება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხორციელება სასტუმრო და სარესტორნო მომსახურებასა და კულინარიაში.

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსს პირი მოიპოვებს ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად გამოცემული ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანება მზადდება შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შედეგად.

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა** ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი (V საფეხური)

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრებში და ა.შ.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
- სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით
- სააღმზრდელო პროცესის მართვა პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენებით
- წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 111 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 141 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 16 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 21 სასწავლო თვე

პროგრამის ხელმძღვანელები:

ნანი მამულაძე - ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

მარინე გურგენიძე - ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

ნატო შეროზია - ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32

პარტნიორი ორგანიზაციები/პრაქტიკის ობიექტები: ბათუმის N 3 საბავშვო ბაღი; ბათუმის N 16 საბავშვო ბაღი; ბათუმის N 2 საბავშვო ბაღი.

პრაქტიკოსი ექთანი (V საფეხური)

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი: მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს:

ა) ყველა სამედიცინო დაწესებულებაში: სტაციონარი; ამბულატორია; დიაგნოსტიკური ცენტრი; პირველადი ჯანდაცვის ობიექტები; რეაბილიტაციის ცენტრები; ესთეტიკური ცენტრები; გადაუდებელი დახმარების ცენტრები; სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები.

ბ) სხვადასხვა ინსტიტუციაში: ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი; პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები); პალიატიური მზრუნველობის ცენტრები; საგანმანათლებლო დაწესებულებები; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები; კვების ობიექტები.

გ) ჯანდაცვის ორგანიზაციაში: ჯანდაცვის სამინისტრო

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საექთნო პროცესის მართვა
- კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 134 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 164 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 22 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 27 სასწავლო თვე

პროგრამის ხელმძღვანელები:

თამარ მხატვარი - ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი

მზია ბაკურიძე - ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32

პარტნიორი ორგანიზაციები/პრაქტიკის ობიექტები: შპს ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი ,,მედინა"; აჭარის ონკოლოგიის ცენტრი; ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო.

ფარმაცევტის თანაშემწე (IV საფეხური)

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული კადრების მომზადება, რომელთა მოვალეობაა: ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის გაცემის პროცესში მონაწილეობა, ნაშთების პერიოდული კონტროლი, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოება და რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აფთიაქში, ფარმაცევტულ ბაზაში, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პროდუქციის ვიზუალურად შემოწმება, იგივეობის, სასაქონლო ნიშნებისა და რაოდენობის დადგენა, ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება;
- რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება;
- მომხმარებელთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპების გათვალისწინება;
- მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შეგროვება–დათვალიერება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ;
- ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვა.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 92 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 122 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 16 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 18 სასწავლო თვე

პროგრამის ხელმძღვანელები:

ეთერ ჯაყელი - ბსუ-ს ასისტენტ პროფესორი

მზია ბაკურიძე - ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32

პარტნიორი ორგანიზაციები/პრაქტიკის ობიექტები: აფთიაქი ,,ჰეკატე"; აფთიაქი ,,გვირილა 2"; აფთიაქი ,,ბაკურიძე და კომპანია"

არქიტექტორ - ტექნიკოსი (IV საფეხური)

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს არქიტექტორ-ტექნიკოსი, რომელიც შეძლებს პროექტის ხელმძღვანელის დახმარებას არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო სამუშაოების განხორციელების პროცესში; საპროექტო ტერიტორიის ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურულ აზომვას: ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულებას, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; ქალაქგეგმარებითი პროექტის წაკითხვას, წინასაპროექტო კვლევის ჩატარებას, მასალის კომპიუტერულ დამუშავებას, სივრცულ ფოტოგრაფირებას, მაკეტირებას; საპროექტო - ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საპროექტო ორგანიზაციები, ბიუროები, საქალაქო სამსახურები, არქიტექტურულ-სამშენებლო ორგანიზაციები, სამშენებლო კომპანიები, ფირმები, შპს-ები, დიზაინერული პროფილის ფირმები და ა.შ. მცირემოცულობის არქიტექტურულ სამუშაოებთან დაკავშირებული ინდივიდუალური მეწარმეობა; აქვს უნარი საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრისა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. მიღებული ცოდნა საშუალებას აძლევს აითვისოს უფრო მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამები. დამოუკიდებლად გაიფართოოს ცოდნა არქიტექტურული დაგეგმარების საკითხებში. გამოიყენოს არქიტექტურული ინფორმატიკისა და კომპიუტერული დაგეგმარების საშუალებები უახლესი არქიტექტურული პროექტების ტექნიკური შესრულებისთვის.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- არქიტექტურული ობიექტის ესკიზური პროექტის საფუძველზე მუშა პროექტის ნახაზის შესრულება /გამოხაზვა/;
- არქიტექტურულ ობიექტზე აზომვითი სამუშაოების შესრულება;
- არქიტექტურული ობიექტის ფოტოვიზუალიზაცია;
- არქიტექტურული ნახაზის შესრულება ტრადიციული გრაფიკული მეთოდით;
- არქიტექტურული ნახაზის შესრულება კომპიუტერული პროგრამების საშუალებით;
- არქიტექტურული ობიექტის მაკეტის შესრულება;
- საპროექტო–ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 84 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 114 კრედიტი;

სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 14 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 16 სასწავლო თვე";

პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი გაიოზ ფარცხალაძე 6

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა 12

პარტნიორი ორგანიზაციები/პრაქტიკის ობიექტები: ქ. ბათუმის მერია; შპს ,,მოდიფაი"; შპს ,,აჭარსპეცპროექტი"; შპს ,,აპარტმენტ პლიუსი".

მეფუტკრე (III საფეხური)

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია უზრუნველყოს პროფესიონალ მეფუტკრეთა მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ დარგში მზარდ მოთხოვნებს. მეფუტკრეობის დარგთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად, ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. ასევე არჩევითი მოდულების ბლოკი სტუდენტებს საშუალებას მისცემს ცოდნა გაიღმავონ პროფესიაში ან მომიჯნავე სფეროში, ან შეიძინონ დამატებითი ტრანსფერული უნარები. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის შიგნით სტუდენტთა მობილობას, ისესტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საფუტკრე მეურნეობებში ან შესაბამისი პროფილის გადამამუშავებელ საწარმოში, ასევე შეუძლია საკუთარი ბიზნესის წამოწყება და თვითდასაქმება.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საფუტკრე მეურნეობის მოწყობა
- მეფუტკრეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა
- ფუტკრის მოვლა-პატრონობა
- მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება.
- ვეტერინარულ-სანიტარიული და სანიტარიულ-ჰიგიენური, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა
- საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური და პირადი პროფესიული განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა;

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 76 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 91 კრედიტი;

სავარაუდო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 12 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 14 სასწავლო თვე";

პროგრამის ხელმძღვანელი:

რომან მარგალიტაძე

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქუჩა 5ა

პარტნიორი ორგანიზაციები/პრაქტიკის ობიექტები: (ა) იპ ,,აგროსერვის ცენტრი", ინდმეწარმე ,,არჩილ ჭაღალიძე"

ვებ - ინტერფეისის დიზაინერი (III საფეხური)

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია პირს მისცეს ვებ ინტერფეისის დიზაინერისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ–ჩვევები, იმისათვის რომ დაამზადოს ორგანიზაციის ან კერძო პირების ხარისხიანი ვიზუალური პრეზენტაცია ვებ სივრცეში; შეძლოს ვებ საიტებისთვის საჭირო სხვადასხვა ტიპის ვიზუალური ელემენტების (ფოტო/ილუსტრაციები) შექმნა და დამუშავება; შეძლოს ვებ საიტის ინდივიდუალური და შემდგომ იმ ინტერფეისის აგება; აგებული ინტერფეისისთვის, სხვადასხვა ტიპის ინტერაქტიული ელემენტების გამოყენება და ასევე თავისი ეფექტების შემუშავება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ვებ სტუდიაში, ციფრული მარკეტინგის ან სხვა ტიპის სარეკლამო სააგენტოში და ონლაინ კომპანიაში. ასევე, შესაძლებელია თვითდასაქმება და კერძო შეკვეთების შესრულება.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- რასტრული და ვექტორული გამოსახულების შექმნა, რედაქტირება/ტრანსფორმაცია
- სხვადასხვა ეფექტებით დამუშავება, თვისებების განსაზღვრა, სასურველ ფორმატში შენახვა
- ვებ საიტის კონცეფციის შემუშავება
- ვებ საიტის ინტერფეისის გრაფიკული დიზაინის მომზადება გრაფიკულ რედაქტორების საშუალებით
- ვებ საიტის ინტერაქტიული პროცესების სცენარის ჩამოყალიბება და შესაბამისი ვიზუალური ელემენტების შემუშავება/შერჩევა
- მარტივი ვებ საიტის მარკირება და სტილებით გაფორმება

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: 63 კრედიტი ქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის და 78 კრედიტი არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის

სავარაუდო ხანგრძლივობა: 10 სასწავლო თვე ქართულენოვანი სტუდენტებისათვის და 12 თვე არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის

პროგრამის ხელმძღვანელი:

მიხეილ დონაძე

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32

პარტნიორი ორგანიზაციები/პრაქტიკის ობიექტები: შპს ,,ექსბი"; შპს ,,საბატა"

ვებ - ინტერფეისის დეველოპერი (III საფეხური)

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია პირს მისცეს ვებინტერფეისის დეველოპერისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკულიუნარ–ჩვევები, რათა მან შეძლოს ვებსაიტის მარკირება მოცემული დიზაინისგან, საიტის გაფორმება სტილებითა და ინტერაქტიული ელემენტებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ვებსტუდიაში, ციფრული მარკეტინგის სააგენტოში, ონლაინ კომპანიაში და ნებისმიერი ტიპის სხვა ორგანიზაციაში, რომელიც აქტიურად ანახლებს თავის ვებსაიტს. ასევე, შესაძლებელია თვითდასაქმება და კერძო შეკვეთების შესრულება.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ვებ საიტის სტრუქტურის აგება,
- ვებ გვერდზე ობიექტების, ფორმებისა და ბმულების ასახვა;
- ვებ საიტის ელემენტების გაფორმება სტილებით და მორგება სხვადასხვა მოწყობილობებზე;
- საიტის დინამიური ელემენტების შესაქმნელად შესაბამისი ბიბლიოთეკის მოძიება, გაცნობა/რედაქტირება და ინტეგრაცია ვებ გვერდთან;
- მარტივი ინტერაქტიული ამოცანის გადაწყვეტა JavaScript ენის გამოყენებით;
- ვებ საიტის დიზაინის აწყობა საიტის მართვის სისტემის გამოყენებით;
- შექმნილი ნამუშევრის ხარისხის უზრუნველყოფა W3C სტანდარტების შესაბამისად.
-

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: 61 კრედიტი ქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის და 76 კრედიტი არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის

სავარაუდო ხანგრძლივობა: 10 სასწავლო თვე ქართულენოვანი სტუდენტებისათვის და 12 თვე არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის

პროგრამის ხელმძღვანელი:

გულადი ფარტენაძე

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32

პარტნიორი ორგანიზაციები/პრაქტიკის ობიექტები: შპს ,,ექსპი"; შპს ,,საბატა"

ვებ - პროგრამისტი (V საფეხური)

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ვებ პროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს პიროვნება, რომელიც შეძლებს ვებსაიტის მარკირებას მოცემული დიზაინისგან ან არსებული ელემენტებისგან, ფუნქციური და ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების მეშვეობით რთული ამოცანების შესრულებას და მონაცემთა ბაზებთან მუშაობას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ვებსტუდიაში, ონლაინ კომპანიაში და ნებისმიერი ტიპის სხვა ორგანიზაციაში, რომლის საქმიანობა შეიცავს ვებპროგრამირებას. ასევე, შესაძლებელია თვითდასაქმება და კერძო შეკვეთების შესრულება.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- მონაცემთა ბაზის სტრუქტურის შემუშავება
- მონაცემთა ბაზის აგება
- მომხმარებელთა უფლებების განსაზღვრა
- ჩანაწერების რედაქტირება
- დასმული ამოცანის გადაჭრის ალგორითმის შემუშავება
- ალგორითმის შესაბამისი კოდის შემუშავება
- შექმნილი აპლიკაციის ტესტირება
- შეცდომების/ხარვეზების აღმოჩენა/აღმოფხვრა
- შექმნილი აპლიკაციის დოკუმენტირება

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი ქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის და 150 კრედიტი არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის

სავარაუდო ხანგრძლივობა: 20 სასწავლო თვე ქართულენოვანი სტუდენტებისათვის და 24 თვე არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის

პროგრამის ხელმძღვანელი:

მიხეილ დონაძე

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32

პარტნიორი ორგანიზაციები/პრაქტიკის ობიექტები: შპს ,,ექსბი"; შპს ,,საბატა"

ბიბლიოთეკარი (IV საფეხური)

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: ბიბლიოთეკარის პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში, ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ბიბლიოთეკის სივრცის ორგანიზება
- ფონდის დაკომპლექტება
- ფონდის მართვა
- ფონდის დაცვა
- საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა
- საბიბლიოთეკო მომსახურება
- კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 94 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 124 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის16 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 18 სასწავლო თვე

პროგრამის ხელმძღვანელი:

გურანდა შამილიშვილი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32

პარტნიორი ორგანიზაციები/პრაქტიკის ობიექტები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა